საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 138 პარასკევი. 1918 წ. აგვისტოს 30. № 318

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

დასავლეთის ფრონტზე ფრანგებმა ... ლი ტყვე წაიყვანეს. ... გამოცხადდნენ ... ათამდე.

სექტ. 15-ს ტფილისში გაიხსნება საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის კონფერენცია.

ქართულ კლუბში კვირას, სექტემბრის 1-ს დანიშნულია

## ჰიმნის შეჯიბრება

ქართველთა სამხედრო კავშირის გაძლიერებული გუნდი

ნ. გ. ქართველიშვილის

ლოტბარობით შეასრულებს 2 განყოფილებაში ქართველ კომპოზიტორთა ჰიმნებს.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები დღეიდანვე იყიდება კლუბის კასაში. 1291

ღრმად დამწუხრებული ნინო დავითის ასული და ალექს. ნდრე პავლეს ძე ნეიმანები შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, საყვარელ დის, ცოლის დის და დეიდის

ზინა დავით-ბარნაბიშვილის ასულ რაბუტოვსკის

ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ორბელიანთ ქუჩა № 16. გამოსვენება კვირას, სექტემბრის 1-ს დილის 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

გულდათუთქული დედ-მამა დეკანოზი დავითი და ქეთევან, დაი ევდოკია, ძმები მიხეილ და ვლადიმერ და რძალი მარიამ ბარნაბიშვილები, სიძე ვლადიმერ ბასილია და უდროოდ დაობლებულ პაწია კატო აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ

ზინა დავით ბარნაბიშვილის ასულ რაბუტოვსკის

ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ორბელიანთ ქუჩა № 16. გამოსვენება კვირას, სექტემბრის 1-ს დილის 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე

მეუღლე სოფიო დავითის ასული, შვილები: ნიკოლოზ, თამარ და ალექსანდრე ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას სექტემბრის 1-ს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი საყვარელ და დაუვიწყარ

ერასტი თეიმურაზის ძის ჯაფარიძის

სულის მოსახსენებლად, კალოუბნის ეკლესიაში პანაშვიდი წირვის შემდეგ. 916

მარიამ გიორგის ასული ანჯაფარიძისა შვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქუთაისში გარდაიცვალა საყვარელი მეუღლე მისი

ივლიანე გრიგოლის ძე ანჯაფარიძე

გამოსვენება პარასკევს, აგვისტოს 30-ს საღამოს 5 საათზე. 919

კონსტანტინე გრიგოლის ძე ანჯაფარიძე სახლობით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქუთაისში გარდაიცვალა საყვარელი მისი ძმა

ივლიანე გრიგოლის ძე ანჯაფარიძე

გამოსვენება პარასკევს, აგვისტოს 30-ს, საღამოს 5 საათზე. 919

ქუთაისის ნოტარიუსის ანჯაფარიძის კანტორის მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ქუთაისში გარდაიცვალა მათი ძვირფასი პატრონი

ივლიანე გრიგოლის ძე ანჯაფარიძე

გამოსვენება პარასკევს, აგვისტოს 30-ს, საღამოს 5 საათზე. 919

გულდათუთქულნი მშობლები მურზაყან საიას ძე, ეკატერინე ნიკოლოზის ასული, ნიკოლოზ, ქრისტეფორე მურზაყანის ძენი, ლეონინე მურზაყანის ასული გეწაძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ აგვისტოს 28-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი შვილი და უკანასკნელთა დაუვიწყარი და.

მარიამ (მაშო) მურზაყანის ასული გეწაძისა,

რომლის დაკრძალვა მოხდება დღით, შაბათს აგვისტოს 31-ს ნაშუადღევის სამ საათზე ცხედარს გამოასვენებენ ქ. ზესთაფონიდან თავის საკუთარ სახლიდან ს. საქარის მაცხოვრის ეკლესიაზე. 918

ღრმად დამწუხრებულნი დედა ანა ნიკოლოზის ასული, ძმები თევდორე, ვალერიან და ივანე ბახჩალოვები, და პარესსა ქურდიანისა, რძლები ნადეჟდა და ზინაიდა ბახჩალოვები და სიძე გრიგოლ ქურდიანი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს, რომ აგვისტოს 27-ს უდროოდ გარდაიცვალა პოროუჩიკი

გიორგი კონსტანტინეს ძე ბახჩალოვი.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე მიცვალებულის ბინაზე (მატინოვის ქუჩა № 10), გამოსვენება შაბათს, აგვისტოს 31-ს ქვაშვეთის ეკლესიაში დილის 9 ნახ. საათზე. დასაფლავება ვერის სასაფლაოზე. 909

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ

ენკენისთვის 15-ს ტფილისში მოხდება სოც.-ფედ. პარტიის დელეგატთა

## კონფერენცია

განსახილველი საკითხები: 1. მომენტი და ჩვენი ტაქტიკა. 2. აგრარული საკითხი. 3. მოხსენებანი ადგილებიდან. ყოველი 150 წევრი პარტიისა ირჩევს ერთს დელეგატს. სადაც ნაკლებ აღმოჩნდება—იქ 100 აირჩევს. მეზობელ მცირე ორგანიზაციებს შეუძლიანთ არჩევნებისათვის შეერთება.



დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 16—60.

დღეს, აგვისტოს 30-ს გაიმართება

საგასტროლო წარმოდგენა

მონაწილეობენ ნიკოლინი, კამო, ბ. ელიზაროვი და სხვ.

ანონსი: ამ დღეებში გაიხსნება შემოდგომის სეზონი. მთავარი ადმინისტრატორი ჰ. ელიზაროვი. 917

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების საორგანიზაციო კომისია საყოველთაოდ აცხადებს, რომ მრეწველნი, რომელთაც სურთ ითვლებოდნენ საზოგადოების დამაარსებლად, ვალდებულნი არიან წარმოუდგინონ საორგანიზაციო კომისიას ჭიათურაში აწერილობა იმ ქონებისა, რომელიც სურთ შემოიტანონ საზოგადოებაში და ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას ჭიათურის ნოტარიუსთან არა უგვიანეს ამ წლის სექტემბრის 1-ს (ახ. სტ.) ამ რიცხვის შემდეგ დამაარსებელთა ხელის მოწერა აღარ მიიღება, ხოლო საზოგადოების დაარსების შემდეგ შეიძლება ახალი აქციონერების მიღება საზოგადო კრების თანხმობით. 1288

ქართული უნივერსიტეტი

(რ)ოვნული საბჭოს გადაწყვეტილებით აგვისტოს 27-ს გამოცხადდა:

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად

უკვე არსებულ სიბრძნის მეტყველების (საისტორიო-საფილოლოგო) ფაკულტეტს ენკენისთვიდან ემატება სამათემატიკო საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები.

სტუდენტებად მიიღებიან: 1) ყოველგვარი ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი, 2) ყოველგვარი ტიპის საშუალო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი: ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, რეალური, საკომერციო, სამიწისმზომლო და სააგრონომიო, საეპარქიო და წმ. ნინოს სასწავლებლები, სამასწავლებლო და ქალთა ინსტიტუტები, კადეტთა კორპუსი, სასულიერო სემინარიები მართლმადიდებელთა (ოთხი კლასი) და გრიგოლიანთა და სამასწავლებლო სემინარიები (1918 წელზე უფრო ადრე კურს დამთავრებულნი მხოლოდ სიბრძნისმეტყველების, საპედაგოგიო და საფსიქოლოგიო დარგზედ მიიღებიან.

სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა უნივერსიტეტის გამგეობის სახელობაზე (უნდა აღნიშნული იყოს ფაკულტეტი და მთხოვნელის მისამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ (დროებით შეიძლება დედნის მაგივრად პირი გამოიგზავნოს ნამეტურ ფოსტით) და 3) მეტრიკული მოწმობა.

მსმენელად ჩაწერისათვის განსაზღვრული ცენზი სავალდებულო არ არის და ასეთ პირთაგან საკმარისია მხოლოდ თხოვნისა და სწავლის ფულის შემოტანა.

სწავლის ფული ყველასთვის (სტუდენტებისა და მსმენელთათვის) სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) ათი თუმანია, რომელიც თხოვნასთან ერთად უნდა იქმნეს შემოტანილი.

უნივერსიტეტის კანცელარია ღიაა საღამოს 6—8 საათამდის, გარდა კვირაუქმეებისა.

თხოვნების მიღება ენკენისთვის ბოლომდის; სწავლის დაწყება ოქტომბრის 1-ს. ფოსტით: ტფილისი, ვაკე, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1 89 უნივერსიტეტის გამგეობა.

## ტფილისი, აგვისტოს 30.

### მუშათა საკითხი

ჩვენი სახელმწიფოს უეჭველად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აღარ ვიცით, რომელია უბრალო და რომელია უმთავრესი სახელმწიფო საკითხი. თითქმის ყოველი საქმე და დარგი ჩვენი ცხოვრებისა ერთნაირად მძიმე და ვეებერთელა სახელმწიფო საკითხს წარმოადგენს.

ალბად მკითხველს კარგად ახსოვს ტყიბულის ამბავი. იმერეთის ეს პაწია სამრეწველო კუთხე, ყოველ შემთხვევაში ჩვენი ყურადღებისთვის ახალ ფრონტად გადაიქცა, რომელიც ჩვენი არსებობის ერთ უმთავრეს საფუძველს ემუქრებოდა მუშათა მოთხოვნილებების წამოყენების სახით. ყველა გულის ფანცქალით შევყურებდით ტყიბულის ინციდენტს, განსაკუთრებით მაშინ შეგვიპყრო შიშმა, როცა გაფიცვის გამოცხადებისთანავე გზათა მინისტრმა რკინის გზის მოძრაობა შეამცირა და გამოიკვა, რომ არა მარტო რკინის გზა, მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი შემოქმედება დღეს ძალიან დამოკიდებულია ტყიბულის ნახშირზედაც.

მართლაც, რა ნაირი უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და არსებობა თუ ჩვენი სიცოცხლის არტერია შეწყდა და ელემენტარული პირობა მოუსპეთ სურსათის ორგანიზაციას, ჯარის მოძრაობას, ფოსტა-ტელეგრაფს, რომლისთვისაც რკინის გზას და ზოგიერთ სამრეწველო დარგს საზრდოს მნიშვნელობა აქვს.

დიახ, მუშათა საკითხი დღეს ისეთივე კარდინალური სახელმწიფოებრივი საკითხია, როგორც ჯარის საკითხი ფინანსების, სურსათის, ადმინისტრაციის. და თუ რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფს ჩვენ მოვაგონებთ სახელმწიფოს წინაშე, ისევე მუშათა მასსას მეტის უფლებით უნდა უთხრათ, რომ მას არასოდეს ავიწყდებოდეს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ინტერესები, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკა მთავრესად დემოკრატიის ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად.

ტყიბულის გაფიცვა ერთი თვალსაჩინო ფაქტია იმის ... მუშებმ მერკანტილიზმის ... სჯარობს უმაღლეს ეროვნულ სახელმწიფოებრივ ალღოზე, ვინაიდან სხვა მოსაზრებით შეუძლებელია ავხსნათ და გავამართლოთ ის უზადო, წრეს გადასული მოთხოვნილება, რომელიც ჩვენს გაჭირვებულ სახელმწიფოს კათეგორიულად წამოუყენეს ტყიბულის მუშებმა.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით გაზეთ „ბორბალს“, რომ მუშები მოვალენი არიან ფრთხილად მოეპყრან ჩვენს რესპუბლიკას და თუ მათში მოვალეობის გრძნობა აღმოფხვრილია, მაშინ თვით სახელმწიფოს ძალების საშუალებით დაცულ იქმნას მოქალაქეთაგან სახელმწიფოს საერთო ინტერესები.

ეს ძალიან კარგად უნდა იცოდნენ საქართველოს რესპუბლიკის მუშებმა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს თვით ჩვენს პასუხისმგებლობის დავიწყებას მუშათა კლასისადმი. არ გვეშინიან ვთქვათ, რომ ჯერ-ჯერობით საქართველოს რესპუბლიკის მუშათა კლასის ქონებრივი მდგომარეობა კიდევ არ არის სათანადო პირობებში ჩაყენებული. მაგრამ დღეს ხომ პირდაპირ აუტანელი მდგომარეობაა და თუ ასეთ დროს მუშების ბედი ისეთი მაინც არის როგორიც საქართველოშია, ეს უეჭველია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის არსებობას მიეწერება. როგორც კი მოგვარდება, განმტკიცდება რესპუბლიკის არსებობა, უეჭველია ჩვენი რესპუბლიკა დემოკრატიის რესპუბლიკად გახდება და მაშინ მუშათა კლასიც კარგად იგრძნობს რევოლიუციის და რესპუბლიკის მნიშვნელობას.

მანამდე საქართველოს მთავრობა უნდა ეცადოს ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს და დაეხმაროს იმ მუშათა კლასს, რომელიც თავის ხელებით სჭედს რესპუბლიკის სიცოცხლეს. მთავრობის დამოკიდებულებას მუშათა საკითხისადმი უნდა მიეცეს სისტემის, გეგმის და მტკიცე პოლიტიკურ კურსის ხასიათი. რამდენადაც სასურველი არ უნდა იყოს სახელმწიფოსათვის ერთნაირად დაკმაყოფილება და უზრუნველყოფა მცხოვრებლებისა, დღეინდელ ომის ძალიან გამწვავებულ კრიტიკულ ხანაში ამ მიზანს ვერავინ განახორციელებს, ხოლო მცხოვრებთა ყველა კათეგორიაზე მეტი დაცვა, დახმარება, ხელის შეწყობა უნდა მუშათა კლასს. შრომის სამინისტრო კერძოდ, მხოლოდ მთავრობა საერთოდ, ამ პოლიტიკას გაბედულად უნდა ანვითარებდეს. ეს პოლიტიკა კიდევ მეტ საბუთს მისცემს მთავრობას, რომ მუშათა კლასს მოსთხოვოს პირნათლად და უთუოდ შეასრულოს ის რასაც სახელმწიფო ავალებს, ვინაიდან თვით რესპუბლიკაც გაბედულად ასრულებს და ახორციელებს საერთო რესპუბლიკის საქმეს, რომელიც არსებითად მუშათა კლასის საქმეა.

## კითხვა და შეკითხვა

ჩვენი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისთვის ბევრი რამ უჩვეულო და ახალია. პარლამენტარულ ცხოვრებას ეხლა ვიწყებთ და პირდაპირ ანბანს ვსწავლობთ. დიდი დრო გაივლის, ვიდრე რაიმე წესს დავადგებოდეთ, ტრადიციას შევქმნიდეთ, უფრო შინაარსს, საგნის არსებითს მხარეს მივაქცევდეთ ყურადღებას და არა გარეგნულობას.

ყოველი შეგნებული ადამიანი, რომელიც თვალყურს ადევნებს ჩვენი პარლამენტის ეროვნული საბჭოს მუშაობას,

უშველად შენიშნავდა ერთს საოცარს გარემოებას: თითქმის ორი-მესამედი სა[?]ჭოს სხდომებისა შეკითხვების გარშემო ატეხილი კამათს უნდება და არც ერთი სერიოზული, მძიმე კანონ-პროექტი არ იწვევს მსჯელობას, თითქოს ისეთი სჯულის მეცნიერები გვყანდნენ, რომ მათ შედგენილ პროექტებს არავითარი განხილვა და შესწორება არ ესაჭიროებოდეს.

ცხადია, ეს არა ბუნებრივი მოვლენაა: როცა ერი უკიდურეს განსაცდელშია და უდიდესი სააღმშენებლო ენერგიაა საჭირო და სულ მცირედი ძალების ერთი მეორეზე მიკწიწება და შეკავშირება —უმთავრესი გონება და ფიქრი მიპყრობილია დაშლისა და მდგომარეობის გართულებისაკენ ..

პარლამენტის ნაყოფიერი მუშაობის აუცილებელი პირობაა თავისუფალი კრიტიკა, პარლამენტი უზენაესი ზედამხედველი და ხელმძღვანელია მთავრობისა და დეპუტატს უფლება აქვს ანგარიში მოსთხოვოს მთავრობას, მიუთითოს ნაკლსა და შეცდომაზე. ამის განსახორციელებლად ევროპის პარლამენტარიზმა, სხვათა შორის, იცის ორი საშუალება — კითხვა და შეკითხვა. კითხვა მარტივია და მისი მიზანია მხოლოდ სათანადო განმარტების მიღება მთავრობის წევრისაგან. როდესაც დეპუტატს აინტერესებს რაიმე საქმის გაგება, უწყების ხელმძღვანელს მინისტრს მიმართავს და მოსთხოვს ცნობების გაცნობას. მინისტრი, რომელიც წინასწარ გაფრთხილებულია კითხვის გამო, შესაფერ განმარტებას აძლევს დეპუტატს დეპუტატი, თუ სურს და საჭიროდ მიაჩნია, უპასუხებს მინისტრს განმარტებაზე. ამით თავდება კითხვა. სხვა დეპუტატს არ შეუძლია ჩაერიოს ლაპარაკში და არც პარლამენტს გამოაქვს რაიმე გადაწყვეტილება კითხვის შესახებ.

სულ სხვაა შეკითხვა —ინტერპელაცია, რომლის დანიშნულებაა მთავრობის შესუსტება, შერყევა და გადაგდება. შეკითხვა უმეტეს შემთხვევაში შეაქვს მთელს ჯგუფს და არა ერთს პირს. მის გარშემო იმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ყველა დეპუტატი და მინისტრი, ვისაც სურს. კამათის დასასრულ პარლამენტს გამოაქვს რეზოლუცია, რომელშიაც პირდაპირ თუ არა პირდაპირ ნდობას ან უნდობლობას უცხადებს მთავრობას. პირველ შემთხვევაში მთავრობა რჩება თავის ადგილზე, მეორეში კი აუცილებლად გადადგება, ვინაიდან პარლამენტარული სახელმწიფოს მართველობის დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ მთავრობა ემყარება დეპუტატების უმრავლესობას, მათი ნების აღმასრულებელია, და როცა ეს უმრავლესობა უნდობლობას უცხადებს სამინისტროს, უკანასკნელს ეკარგება ყოველ ივე ნიადაგი.

შეკითხვას პარლამენტში იშვიათს, განსაკუთრებულს შემთხვევაში მიმართავენ ხოლმე, როდესაც მოხდება ისეთი ამბავი, რომელიც მთელი ხალხის ყურადღებას იპყრობს და დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს, ან როცა მთავრობის პოლიტიკა საერთოდ უკვე არ აკმაყოფილებს პარლამენტს და უნდათ მისი გამოცვლა, დეპუტატებს შეაქვთ შეკითხვა, რომ უნდობლობის გამოცხადების საშუალებით გადააყენონ მთავრობა და სხვას ჩააბარონ მესვეურობა.. თუ რასდენად სერიოზული მნიშვნელობა აქვს ევროპაში შეკითხვას, ინტერპელაციას, ეს სხვათა შორის იქიდანაც სჩანს, რომ საფრანგეთში სამინისტროების გადადგომის მიზეზი სანახევროდ შეკითხვა ყოფილა ოკი წლის განმავლობაში. ინგლისში წლები გაივლის ისე, რომ ერთს შეკითხვასაც არავინ შეიტანს. თუ როგორის სიფრთხილით ეპყრობიან დღეს პარლამენტები შეკითხვას, ეს ყველამ უწყის.

ასეა ევროპაში, სადაც ხანგრძლივი და დიდი სახელმწიფოებრივი გამოცდილება აქვთ მოღვაწეებს, სადაც მრავალი საუკუნის დალაგებული ცხოვრებაა. სამწუხაროდ ასე არაა ჩვენში, საცა სახელმწიფო ახლად შენდება და მისი არსებობა ათასნაირ ხიფათშია ჩვენში ზოგიერთები მეტად მსუბუქად ეკიდებიან შეკითხვას, თითქოს იგი მხოლოდ სიტყვიერი გაჯიბრების მასალა იყოს, თითქოს უფლება იყოს მარტო და თან არ ახლდეს უმძიმესი მოვალეობა და დიდი პასუხის მგებლობა...

ს. შ. ფუცხალ ვა.

## გამომჟღავნებული სულის კვეთ ბა

ის განგაში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს ატეხეს ზოგიერთმა წრეებმა და რომელსაც, საბედნიეროდ ბოლო ეღება, ნათლად მოწმობს, რანაირი ყალბი წარმოდგენა ჰქონიათ ჩვენს პოლიტიკურ პარტიებს რუსის საზოგადოებრივ ელემენტების შესახებ.

მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იმედები ქართველ მოწინავე პირთა დამყარებული იყო იმ შეურყეველ რწმენაზე, რომ დარღვეულ თვითმპყრობელობის ნიადაგზე აღმოცენდება ისეთი წესწყობილება, რომელიც სხვათა შორის ეროვნულ თავისუფალ განვითარებასაც ფართო ასპარეზს გადაუშლის.

ეს რწმენა ავადმყოფურ ექსტაზამდე მიდიოდა. მაგრამ, რამდენადაც მეტი დრო მიდიოდა, იმდენად მეტად ვრწმუნდებოდით, რომ თითქმის ყველა რუსში პატარა დერჟიმორდა ზის და სარევოლუციო ფრაზეოლოგიაშიაც კი გამოსჭვივის უხეში სახე უბნის ზედამხედველისა.

განსაკუთრებით უხეში და გახრწნილი აღმოჩნდა ამიერკავკასიის რუსობა, რომელმაც ვერც ერთი ისეთი პოლიტიკური ჯგუფი ვერ წარმოშვა, რომელსაც შესძლებოდა ვიწრო ჩინოვნიკურ ინტერესებზე მაღლა დადგომა.

საღად გაგებული სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვდა საქართველოში ქართველი ხალხის ეროვნული მისწრაფებისთვის ფართო ასპარეზი მიეცათ. ასე უნდა მოქცეულიყო ყოველივე გონიერი ადამიანი. მაგრამ ადგილობრივ რუსობაში დერჟიმორდამ ჩაყლაპა და შთანთქა ადამიანი, შთანთქა პოლიტიკური მოღვაწე.

ჩვენ ავტონომიასა და ფედერაციას ვთხოულობდით. ეხლაც ვფიქრობთ, რომ ფედერაცია არის უმაღლესი ფორმა კაცობრიობის გაერთიანებისა ძმურ კავშირად. მუდამ აქაც, როდესაც ფედერატიული წესწყობილება იდეიურად უკვე გამარჯვებას დღესასწაულობდა, ისეთს წინააღმდეგობას ვხედავდით, რომელიც სტოლიპინსაც კი სიამოვნების ჟრუანტელს დაჰგვრიდა ძარღვებში.

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორა ჰქონდათ მათ წარმოდგენილი ავტონომია და ფედერაცია? ნუ თუ მათ ეგონათ, რომ საქართველო ავტონომიურ კანტონად გადაიქცეოდა და საქართველო სასამართლოს გაეროვნებას არ მოახდენდა ყველა საფეხურზე? ნუ თუ მათ გულუბრყვილოდ ეგონათ, რომ საქართველო ფედერატიული კავშირის დამოუკიდებელ კანტონად გამოცხადდებოდა და ამასთანავე ერთად არ მოჰხდებოდა სრული გაეროვნება მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმისა?

რუსეთი რომ მთლიან სახელმწიფოდ დარჩენილიყო, ეს აუცილებლად ასე უნდა მომხდარიყო. მაგრამ აქაური რუსობა, ალბად, სულ სხვანაირად ფიქრობდა და ჰგრძნობდა. ეს სჩანს იქიდან, რომ რუსეთის დახავსებული წესწყობილების ნაშთიც კი რაღაც პრეტენზიებს აცხადებს და იბრძვის თავის არსებობისთვის. წარმოდგენილი გვაქვს, რანაირი იქნებოდა ძალა წინააღმდეგობისა, რუსები რუსეთის მთელ სივრცეზე ისევ მდგომარეობის ხელმძღვანელებად რომ დარჩენილიყვნენ. ვერც ერთი არა რუსი ერი განთავისუფლებასა და ადამიანურად ამოსუნთქვის უფლებას ვერ ეღირსებოდა.

რუსული პოლიტიკური აზროვნების რუსული მხარეც სწორედ ეს არის. მათ ჰგონიათ, რომ ფუჭი რევოლიუციონური ფრაზეოლოგია ვისმეს დააკმაყოფილებს და თვალებს აუხვევს. რეალურად ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამთ ისეთი, რომელიც დაარწმუნებდა ხალხს, რომ დადგა ახალი ხანა, როდესაც ერის ცხოვრების გარდაქმნა შეიძლება მოხდეს და კიდეც უნდა მოჰხდეს.

არც ერთი ასეთი ნაბიჯი აქაურ რუსობას არ გადაუდგამს და ამით ცხადჰყვეს ყველასთვის, რომ ამ მხრით აღარაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს, ჩვენ საკუთარის ძალღონით უნდა გავიწალდოთ გზა განახლებისა და განთავისუფლებისა.

რასაკვირველია სულ სხვანაირი იქნებოდა სურათი, რუსეთის პოლიტიკურ ქარტეხილს რომ ეროვნული საკითხი თავიდანვე რადიკალურად გადაეწყვიტა და ფართო ასპარეზი მიეცა ეროვნული შემოქმედებისათვის, თუნდაც ამით მთელი დიდი კათეგორია რუსის ჩინოვნიკებისა დაღუპულიყო, დაიღუპებოდნენ კერძო პირნი, მაგრამ გადარჩებოდა რუსეთი, როგორც მთლიანი სახელმწიფო.

მაგრამ ასეთი პოლიტიკური სიბრძნე რუსეთში ვერც ერთმა პოლიტიკურმა ჯგუფმა ვერ გამოიჩინა და რუსეთიც დაირღვა.

ის, რაც დღეს ჩვენს გარშემო ჰხდება, ლოღიკური შედეგია რუსული პოლიტიკური გაუგებრობისა.

გარეშე მტერთა კლანჭებს შორის მოქცეული საქართველო იბრძვის საუკეთესო იდეალებისათვის, იბრძვის თავისუფლებისა და რესპუბლიკის განსამტკიცებლად და ამისთანა დროს ადგილობრივი რუსებისაგან ჩვენ მხოლოდ წინააღმდეგობასა ვხედავთ, სხვას არაფერს.

ადვილად შესაძლებელია უთანასწორო ბრძოლაში საქართველოს დაეცეს, მაგრამ კეთილშობლური ბრძოლაში დაცემული საქართველო არასოდეს არ დაივიწყებს იმას, რომ განწირულების ჟამს კერძო კეთილშობილ რუსთა გამონაკლისით, ადგილობრივ არ აღმოჩნდა არც ერთი ისეთი პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც ქართველი ხალხისთვის ძმური და მეგობრული ხელი გაეწოდებინა და უთანასწორო ბრძოლაში დაჰხმარებოდა...

არ. ჯაჯანაშვილი.

## ჩვენი პოზიცია

I

მსოფლიო ომის და რევოლიუციის მსვლელობამ ქართველ ერს თავისუფლება მიანიჭა. დღეს ჩვენს გარშემო გამალებული მუშაობაა ახალ სახელმწიფოს განმტკიცებისა და გამაგრებისათვის. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ისეთი მოულოდნელი დანასკვი იყო რევოლიუციის და მსოფლიო ომის პროცესისა, რომელიც არამც თუ ქართველი ხალხის მასსას, არამედ მის პოლიტიკურ პარტიებსაც ძნელად წარმოედგინათ. მაგრამ დღეს უდიდესი ფაქტია ჩვენს წინაშე: საქართველოს რესპუბლიკა არსებობს და დღეგრძელობასაც აპირებს.

რა ცვალებადობა, რა ტრაგედია არ განვიცადეთ ამ ერთი წლის განმავლობაში! იყო მომენტი, როდესაც პარტიებმა უდიდესი მამულიშვილობა გამოიჩინეს და თავისი ცალკერძობა სამშობლოს კეთილ-დღეობის სამსხვერპლოზე მიიტანეს. დღეს, ვიმეორებთ, გამალებული სახელმწიფოებრივი შემოქმედებაა მთელ საქართველოში გაჩაღებული და ამ მუშაობაში მონაწილეობა უმთავრესად ორ სოციალისტურ პარტიას — სოციალისტ-ფედერალისტებს და სოც.-დემოკრატიას უხდება უნდა ითქვას, სახელმწიფოებრიობისთვის ზრუნვამ, გარეშე და შინაურ მტრებთან ბრძოლამ პარტიული მუშაობა შეაჩერა და ჩვენგან ორგანიზაციები დაშალა. ბევრჯერ საშუალება არ გვქონდა ამხანაგებთან მოლაპარაკების და საკითხის განსჯისა, რადგან საამისო დრო არ გვრჩებოდა: საქმე გადაუდებელი იყო და მყისვე პასუხს მოითხოვდა. ამიტომ მრავალი საკითხი, სინამდვილისგან ნაუცაბადევად გადაწყვეტილი, ფართო მასისათვის გაუგებარი დარჩა. კერძოდ ჩვენს ამხანაგებში გაისმის საყვედური იმ შეთანხმების გამო, ჩვენსა და სოციალ-დემოკრატებს შორის რომ არსებობს. სახე დავკარგეთ, გავითქვიფეთო და სხვა. დროა ეს საკითხი ნათლად გავარკვიოთ და გაუგებრობა, დღეს რომ არსებობს ზოგიერთ წრეებში—გავფანტოთ დარწმუნებული ვართ, საკითხის ღრმად და არსებითად განხილვის შემდეგ ყველანი დაგვეთანხმებიან, რომ ერთად-ერთი პოლიტიკა და გზა, რასაც გვავალებდა მომენტი და სამშობლოს განწირული ძახილი—ის იყო, დღეს რომ ვაწარმოებთ და უნდა ვაწარმოოთ შემდეგშიაც.

ყველას ახსოვს თუ რა საშინელს მდგომარეობაში იყო საქართველო ამ სამი თვის წინად. ოსმალეთი თუ გერმანია, დამოუკიდებლობა თუ განადგურება—აი, საბედისწერო ალტერნატივა ქართველ ერს რომ წარუდგა წინ. მოიგონეთ, შეიძლება მაშინ ვერც კი შევსძელით იმ საშინელების დაფასება: ოსმალოები ტფილისიდან ოცდა ხუთი ვერსის მანძილზე იყვნენ, მესამე სადგურ სანდარში! იქაური თათრები ტფილისის მომიჯნავე სოფლებს თავს ესხმოდნენ და ჩვენ კი, ბათომთან დამარცხებულნი, უჯაროდ, უსურსათოდ, ჯერ კიდევ მოუშუშებელ ჭრილობებისაგან ვკვნესოდით. და ამ ტანჯვა-ვაებაში, უდიდეს განსაცდელის ჟამს იშვა ნორჩი ყრმა—საქართველოს რესპუბლიკა. ხოლო მისი შობის რამდენისამე საათის შემდეგ ჩვენ ვიშოვნეთ ძლიერი მოკავშირე, გერმანია—თავისი ღონიერი ხელი რომ გამოგვიწოდა, გულს გადარჩენის იმედი ჩაგვისახა.

აღსრულდა დიდი ხნის ჩვენი ოცნება: პოლიტიკურ თავისუფლებას ვეღირსენით. ვიმეორებთ და კიდევ ვამბობთ: კერძოდ არც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისათვის ყოფილა დამოუკიდებლობა ახლობელი იდეალი. მაგრამ საქმე ხომ ფორმა არაა: ჩვენ ვიბრძოდით მთელი ჩვენის ძალ-ღონით ეროვნულ თავისუფლებისათვის. ეს თავისუფლება ჩვენ უფრო უზრუნველყოფილად წარმოგვედგინა იმ შემთხვევაში, თუ იგი ფედერატიულ კავშირის სახეს მიიღებდა. დღესდღეობით ეს არ მოხერხდა, ხოლო ეროვნული თავისუფლება მივიღეთ. ჩვენ ვფიქრობთ, განსაკუთრებით მცირე ერებისათვის ფედერალიზმი საბოლოო იდეალია, რადგან მათს დღეგრძელობას და კეთილდღეობას მხოლოდ იგი უზრუნველჰყოფს ათასგვარ შემთხვევებისაგან. მაგრამ დღეს მეგობარი არავინ გვყავს, ჩვენთან კავშირი რომ ჰსურდეს, ხოლო მკვდარს (რუსეთს) თავის დღეში არ ავეკიდებით და ვერც ავეკიდებით. მაშასადამე ჩვენი პოლიტიკური იდეალი განხორციელებულია: ქართველი ერი თავისუფალია. მართალია მას მტერი უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე მეგობარი, მაგრამ იგი მედგრად იბრძვის და იბრძოლებს მომავალშიც რესპუბლიკის განმტკიცებისათვის.

რა გვმართებდა ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტებს, რომელთა ისტორია დაუსრულებელი მარტიროლოგიაა ეროვნულ-სოციალურ თავისუფლებისათვის მებრძოლთა?

შესდგა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობა. არ შევსულიყავით, არ გვემუშავნა მათთან, რომელნიც მთელი თავის ისტორიის განმავლობაში მედგარი მებრძოლნი იყვნენ საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლების წინააღმდეგ? ეს ხომ სამშობლოს ღალატი იქნებოდა! ჩამოვშორებოდით სამშობლოს სახელმწიფოებრიობისათვის მიმართულ მუშაობას იმ კრიტიკულ მომენტში, როცა ჩვენი ძალები ასე საჭირო იყო? ამას ჩვენ ვერ ჩავიდენდით, რადგან ეს იქნებოდა უარყოფა იმ მშვენიერი წარსულისა, რომლითაც ჩვენს პარტიას თამამად შეუძლიან იამაყოს. ეს იქნებოდა თავის თავის უარყოფა, რადგან ჩვენს თვალწინ ცოცხლდებოდა, ხორცს ისხამდა იდეები, წელთა განმავლობაში გულში რომ ვატარებდით და ოცნების საგნად გადაგვქცეოდა. და პარტიამაც იკისრა ის მძიმე ტვირთი, რომელსაც დღევანდელ პირობებში სახელმწიფოებრივი შემოქმედება ჰქვიან და რაც აუარებელ ენერგიას მოითხოვს.

ცოდვა ჩავიდინეთ, დავაშავეთ რამე ამით იდეალების წინაშე? ვინ იტყვის ამას, ვინ გაჰბედავს სთქვას, რომ საქართველოს რესპუბლიკის აშენება დანაშაულია. მაგრამ აქ ერთნაირ ფსიქოლოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. სოციალისტ - ფედერალისტთა პარტია მუდამ ჟამს ოპოზიციონური პარტია იყო. იგი დევნილი იყო დღევანდელი მოკავშირეებისაგან თვით რევოლიუციის დროს. ჩვენ შევეჩვიეთ ამ მდგომარეობას. მასსისათვის ერთნაირად გაუგებარია: როგორ, მთელი ჩვენი მოღვაწეობის დროს ვებრძოდით სოციალ-დემოკრატიას, ვიძახდით, ძირს მთავრობაო ეხლა ჩვენ წინანდელ მოწინააღმდეგეებთან ვართ და ვიძახით: გაუმარჯოს მთავრობასაო. მაგრამ პოლიტიკაში, მოგეხსენებათ, გრძნობა ვერაფერი ხელმძღვანელია საკითხი ისე კი არ უნდა დავსვათ, რად ვართ ამა და ამ პარტიასთან, არამედ: **ეწინააღმდეგება თუ არა დღევანდელი ჩვენი მოქმედება ჩვენს იდეალებს?** ჩაუკვირდეთ ამას. დავსთმეთ რამე, გადაუხვიეთ ჩვენს ნაცადს გზას?

ქ. რაჭველიშვილი.

## მთავრობაში

**საქართველოს რესპუბლიკის ოლქის სასამართლოთა თავმჯდომარეებს.** ჩემამდე მოაღწია იმ ამბავმა, რომ ზოგიერთ საქალაქო საზოგადოებრივ დაწესებულებათ გაუფართოვებიათ კანონის ღიერ განსაზღვრული წრე თავისის უწყებისა, სხვათა შორის თავისის ნებით მიუთვისებიათ. უფლება სადავო სამოქალაქო უცილებრივ დამოკიდებულებათა საქმეების გადაწყვეტისა და სასამართლო უწყების მოხელეებისათვის მიუწერიათ, რომ იმათ თვისდა განსახილველად აღარ მიიღონ ასეთი სამოქალაქო სასამართლო საქმეები.

რადგან ეს მოვლენა სრულიად საწინააღმდეგოა და დამრღვეველი კანონისა, გთხოვთ განუმარტოთ თქვენდა რწმუნებულ ოლქის სასამართლოს უწყების თანამდებობის პირთ, რომელნიც მოსამართლის მოვალეობას ასრულებენ, რომ ისინი ვალდებულნი არიან თავისის მოქმედების დროს იხელმძღვანელონ მხოლოდ კანონთა და ჯეროვან დაწესებულებათა კანონზედ დამყარებულ განკარგულებით და რომ ყოველს სხვა განკარგულებასა ან მოთხოვნილებას, ვისგანაც უნდა იყოს იგი მათ წინაშე წარდგენილი, მოსამართლეებისათვის არავითარი სავალდებულო მნიშვნელობა არა აქვს და თუ კანონს არ ეთანხმება, არც უნდა იქმნეს სრულებული.

ამასთან მივიღე რა მხედველობაში, რომ საზოგადოებრივ დაწესებულებათა მართ-მსაჯულების საქმეში ჩარევას და მათ მიერ სასამართლოებისაგან ამა თუ იმ მოთხოვნილების წარდგენას თან სდევს დამნაშავეთათვის სისხლის სამართლის წინაშე პასუხისმგებლობა, გთხოვთ აცნობოთ თქვენდა რწმუნებულ სასამართლოს მოხელეებს, რომ ამიერიდან ყოველი ასეთი მოთხოვნილება უსათუოდ აუწყონ ხოლმე ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს განსაკარგულებლად და ამასთანავე მეც მაცნობონ.

იუსტიციის მინისტრი **შ. მესხიშვილი.**

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა ადერბეიჯანის მთავრობასთან ბონების შესახებ ისეთივე ხელშეკრულობა დასდოს, როგორიც საქართველოსა და სომხეთის მთავრობის შორის არის.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა პროტესტი გამოუცხადოს ბაქოს მთავრობას ქართველების ჯარში გაწვევისათვის.

## უკანასკნელი ცნობები

**სამხედრო მინისტრის ბრძანება**

ჩემამდე მოაღწია ცნობამ, რომ ზოგიერთი ოფიცერი კადრულობს ისეთი პაგონების ტარებას, რაიც მათ ჩინს არ შეესაბამება. ვუბრძანებ ყველა დივიზიის გარნიზონის და ყველა დაწესებულებათა უფროსებს და აგრეთვე ნაწილთა კომანდირებს, სასტიკი თვალყური ადევნონ ამ მოვლენას და დამნაშავე ოფიცრები წარმოადგინონ დასათხოვნად და სამხედრო სამართალში მისაცემად.

მოვითხოვ ყველა ოფიცერს მუდამ თანა ჰქონდეს პიროვნების და იმ ნაწილის მოწმობა, სადაც იგი მსახურებს სათანადო ჩინის აღნიშვნით.

სამხედრო მინისტრი **გიორგაძე.**

## ომის დეპეშები

**დასავლეთის ფრონტი**

**ბერლინი 8—28.** კრონპრინც რუპრეხტისა და ბოინეს ლაშქარი. ლანგემარკთან და ლისის ჩრდილოეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. გენერალ ბელოვის ლაშქარი გუშინ კვლავ იბრძოდა. ინგლისელთა იერიშების ცენტრმა სკარპის სამხრეთით იყო. მტერმა ბრძოლაში კვლავ მოიშველა უამრავი ჯავშნოსანი და ფრონტის გარღვევას სცდილობდა. არას-კამბრეს გზატკეცილის ორივე მხრით ჩვენმა ნაწილებმა, რომელნიც იბრძვიან პელვას ხაზით, მონში-კრუაზელის აღმოსავლეთით და რომელსაც შეადგენენ პომერანელები, დასავლეთ-პრუსიელები, ჰესენელები და ელზასელები, გარეკეს მტერი პელვას აღმოსავლეთით, ვის-ენ-არტუასა და კრუაზელთან. აგრეთვე უნაყოფოდ ჩატარდა მტრის იერიშები ბოირი-ნოტრ-დამის პირდაპირ და კრუაზელის ჩრდილო-აღმოსავლეთით. გუშინ მტერი ძალიან დაზარალდა. მტრის უამრავი ჯავშნოსანი გავანადგურეთ ზარბაზნებითა და ნაღმის მფრქვეველებით. შუადღეს ბრძოლა სკარპის ჩრდილო ნაპირით სამხრეთით მორამდე გაჩაღდა. აქ მტრის ყველა იერიში აქ მოვიგერიეთ. ბაპომის ორივე მხრით მტრის იერიშები შესუსტდა. ყველგან მოვიგერიეთ ინგლისელები, რომელთაც ქალაქის ორივე მხრით იერიშები მოიტანეს. სომას ჩრდილოეთით ინგლისელებმა სასტიკი იერიში მოიტანეს ჩვენი ახალი ხაზების წინააღმდეგ ფლერსა და კურლიუს შუა. იერიშები მოვიგერიეთ და დავიპყრეთ ფლერი და ლონგვალი, სადაც მტერი დროებით შეიჭრა. სომის სამხრეთით მტრის იერიშები უნაყოფოდ ჩატარდა. სომას და უაზს შუა უკან დავიხიეთ ახალ ხაზებზე და უბრძოლველად დავსტოვეთ შოლნასა და რუას ბრძოლის ველი. ჩვენი ცეცხლის გამო მტერი იძულებული გახდა აგვისტო 20-დან შეეწყვიტა თავისი შეტევა. ამ რიგად ჩვენ შევასრულეთ ჩვენი წინსვლა დაუბრკოლებლად. უაზასა და ენს შუა მხოლოდ უმნიშვნელო საარტილერიო შეტაკება იყო.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი.** ვესლაზე მევლენბურგის გრენადერებმა მათ უფროსის ბელლეკის სიმამაცით ... ლობით ამერიკელების იერიშები ... გერიეს ბაზონის პირდაპირ. ... ჯარმა იერიშით აიღო ფისმეტი,

ლას სალმში. ამ ბრძოლების დროს ამერიკელები დიდად დაზიანდნენ და 250 ამერიკელიც დავატყვევეთ. არგონებში იტალიელები დავატყვევეთ.

**ბერლინი.** 8—28, საღამოს ცნობა. არასის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერი ცდილობდა ფრონტი გაერღვია. ცდა უნაყოფოდ ჩატარდა ინგლისელების ირიში ბაპომის ჩრდილოეთით და სოჩრდილოეთით. აგრეთვე უნაყოფოდ ჩატარდა უაზასა და სომას შუა საავანპოსტო ბრძოლაა. ფრანგების იერიშები ენის ჩრდილოეთი მოვიგერიეთ ტერი საგრძნობლად დავაზარალეთ.

# ახალი ამბავი

**ჯარში გ წვ. ვა.** გადაწყვეტილია ჯარში გაიწვიონ (მუსულმანთა გამოკლებით) ყველა ის ახალგაზდები, რომელნიც დაბადებულნი არიან 1895—1899 წლებში. ჯარში გასაწვევი ყმაწვილები უნდა გამოცხადნენ სექტემბრის 10-მდე. ვინც ამ დღეებში არ გამოცხადდება დეზერტირად ჩაითვლება და გადაეცემა სამხედრო ტრიბუნალს.

**სომეხთა ჯარის დემობილიზაცია.** სომეხთა ჯარის დემობილიზაციის შემდეგ დარჩება 6 პოლკიდან შემდგარი ერთი დივიზია.

**ნავთის აღმოჩენა.** ი. ფანცულაიას ინიციატივით ნატანების ახლო ოსმალთა საზღვართან აღმოაჩინეს 50 ცისტერნი ნავთი.

**გეოლოგიური გამოკვლევანი.** სამთო სამმართველოს შედგენილი აქვს გეგმა სისტემატიურ გეოლოგიური გამოკვლევისა საქართველოს მადნეულ ადგილებისა. ამ ჟამად ორი გეოლოგიური პარტია მუშაობს: ინჟ. კანიბევსკი და ქიმიკოსის მ. შალამბერიძის მეთაურობით. ტყიბულ-სახერის რაიონში მას აზრად აქვს შეადგინოს გეოლოგიური ქარტა ქვანახშირის რაიონებისა ისე, როგორც, მაგალითად გამოკვლეულია დოხის რაიონი. 2) გეოლოგის ციციშვილის მეთაურობით მუშაობს პარტია კახეთის და გურიის ნავთიან ადგილებში. ამას მიზნად აქვს დანიშნოს ადგილები, სადაც შეიძლება ეხლავე დამუშავება ნავთისა ქებით. გარდა ამისა, გამოჰყოს ის ადგილები, რომელნიც უეჭველად შეიცავენ ნავთს და რომლის იჯარით გაცემა მთავრობის განკარგულებაში იქნება.

**დატუსაღება.** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმმა დაატუსაღა ივ შლეიზინგერი კონტრ-რევოლიუციონერობისათვის.

**მასწავლებელთ კავშირი** კვირას ენკენისთვის პირველს (ახ. სტ). კადეტთა კორპუსში დილის ათ საათზე არის დანიშნული აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კრება კავშირის დასაარსებლ დ. ამისათვის ვთხოვთ საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა საბჭოებს აღმოსავლეთ მხარისას გამოგზავნონ თვისი რწმუნებული ადგილობრივ მასწავლებლებს კერძოდ ბარათები არ გაეგზავნებათ. მომწვევი კომისია

**ელექტრონის ენერგია.** ქალაქის საბჭომ დაადგინა სათბობი მასალის ნაკლებობის გამო შეამციროს ელექტრონის ენერგიის მოხმარება ისე, რომ ერთი თვით კიდევ ეყოს სათბობი მასალა დიდ სადგურებს (ელექტრონის) მაინც.

**პურის დაფქვა.** ქალ საბჭომ დაადგინა გამოსცეს სავალდებულო დადგენილება, რომ პური დაფქ ან ტფილისის წისქვილებში. სპეკულიაციის თავიდან ასაცილებლად დაწესებულია ნიხრი და რიგი. ამის სისრულეში მოსაყვანად საგანგებო მფრინავები იქნებიან რომელთა შესანახავად გადაახდევინებენ ფუთზე 10 შაურს.

**ფინინსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა** სამთო სამმართველოს რწმუნებულს განუმარტა, რომ საქართველოში ნავთის მწარმოებელთა ამა თუ იმ გარანტიის და საგანგებო შეღავათიან პირობების მიცემის საკითხი არსებითად განხილულ იქმნება ცალ-ცალკე მწარმოებელის თხოვნის მიხედვით.

**მკვლელობა,** აგვისტოს 5 (ახალი სტილით) ვერაგულად მოჰკლეს არსენა მოლოქის ძე ელიაშვილი, კახეთის გზაზე. იგი აგვისტოს ოთხს ტფილისიდან გასულა დილის 8 საათზე ფურგუნით ორი ცხენით, იმ ღამეს ყოფილა სართიჭალის დუქანში და იქ გაუთენებია. მეორე დილით ადრე გასულა სართიჭალიდან და რომ მიახლოებულა სოფელ ჩაილაურს, გზაში უ ნობთ ყელი გამოუჭრიათ, მოკლული ფურგუნიდან ძირს გადმოუგდიათ ფურგუნი გაუტაციათ და მიმალულან. მოკლული სამი დღე მზეში გდებულა და სულ მატლი დახვევოდა შემდეგში კი კომისარს დაუმარხავს. ჩვენ მაშინვე ვაცნობეთ იქაურ რაიონის კომისარს და როგორც სჩანს, ზომები არ არის მიღებული. ვსთხოვთ ვისიც ჯერ არს მიაქციონ ყურადღება და იქნეს ზომები მიღებული მკვლელის აღმოსაჩენად.

დღეს, აგვისტოს 30-ს, საღ. 7 ს. კოოპერატივთა კავშირის ბინაზე (ტფილისი, სასახლის ქ. № 5) დანიშნულია კოოპერატივთა მოსამსახურეების საერთო კრება.

**კოოპერატივთა თანამშრომლების ყრილობა.** აგვისტოს 31 სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის კოოპერატიული სექციის ბიურო იწვევს კოოპერატივთა რაიონულ კავშირების თანამშრომელთა ყრილობას. ყრილობის პროგრამა: 1) მოსამსახურეთა როლი კოოპერაციაში, 2) კოლექტიური ხელშეკრულება, 3) საპენსიო კასა, 4) საავადმყოფო კასა, 5) მოსამსახურეთა ორგანიზაცია და ცენტრალურ ორგანოს არჩევნები. ეს იქნება პირველი ყრილობა კოოპერატივებში მოსამსახურეთა. სასურველია ამხანაგებმა მიაქციონ ყრილობის მნიშვნელობას სათანადო ყურადღება და გამოგზავნონ რწმუნებულები მანდატებით. საჭირო ხარჯებს გასწევს როგორც ამიერკავკასიის, ისე სარაიონო კავშირები. ყრილობაზე მოწვეულ იქნებიან მუშათა ორგანიზაციების და შრომის სამინისტროს წარმომადგენლები.

**რაჭა-ლეჩხუმელთა დამხმარე საზ.** დამფუძნებელი კრება მოხდება კვირას, სექტემბრის 1-ს, დილის 10 ს. სოციალისტ-ფედერალისტთა კლუბის დარბაზში რაჭველ-ლეჩხუმელებს და ყველა თანამგრძნობთ საორგანიზაციო კომისია სთხოვს უეჭველად დაესწრონ. განსახილველია საზოგადოების წესდება და ასარჩევია გამგეობა.

**ტფილისის გიმნაზიებში** სახალხო განათლების მინისტრის ბრძანებით მიმდინარე წლის სექტემბრიდან ტფილისის გიმნაზიათა დირექტორებად და ინსპექტორებად დაინიშნენ: ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძე—ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორად. ამავე გიმნაზიის ინსპექტორად ნიკ ნიკ. ქუთათელაძე. ვას. ანტ. ჩალეხკოვი ტფილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის დირექტორად, ტფილისის მესამე გიმნაზიის დირექტორად ალ. დავ. საფაროვი. ტფილისის ვაჟთა მეექვსე გიმნაზიის ინსპექტორად—ალექს. ფეოდ. სავინოვი, ვაჟთა მეექვსე გიმნაზიის დირექტორად—ილი ადოლფის ძე ლიასოცკი, ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის ინსპექტორად—ალ. გ. ფირცხალაიშვილი.

— ქალთა პირველ გიმნაზიის რუსულ ენის მასწავლებლად ვლად. ისტრებოვი, ვაჟთა მეოთხის გიმნაზიის მათემატიკის მასწავლებლად—ლ. პ. ნევტონოვი, ვაჟთა მეორე გიმნაზიის შტატის მასწავლებლად—ი. ი. მელიუშჩენკო.

სასწავლებელთა გაეროვნების გამო დათხოვნილნი არიან: ტფ. ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის დირექტორი უსპენსკი და მეხუთე გიმნაზიის ინსპექტორი კომპანეცი.

**სამხედრო ხიმინისტროში.** დაინიშნენ დივიზიის უფროსებად: 1 ქვეითა დივიზიისა—გენერალ-მაიორი ართმელაძე; 2 ქვეითა დივიზიისა—გენერალ-მაიორი მაზნიაშვილი. ბრიგადის უფროსებად—პირველ ქვეითა დივიზიისა გენერალ-მაიორი მაყაშვილი და გენერალ-მაიორი ვაშაკიძე. 2 ქვეითა დივიზიისა გენერალ-მაიორი წულუკიძე და გენერალ-მაიორი სუმბათაშვილი. პოლკების კომანდირებად: 1 ქვეითი პოლკისა პოლკოვნიკი ფურცელაძე, 2 პოლკის პოლკოვნიკი წერეთელი, 3 ქვეითა პოლკის—პოლკოვნიკი ჩხეიძე, 4 ქვეითა პოლკ. გელოვანი, 5 პოლკისა—პოლკოვნიკი ბალუაშვილი, 6 პოლკისა—პოლკოვნიკი თავაძე.

**კომანდირთა თანაშემწეებად.** 1 პოლკისა—პოლკოვნიკი ვაჩნაძე, 2 პოკისა—პოლკ. საყვარელიძე, 3 პოლკისა—პოლკ. ზაქარიევი, 4 პოლკისა—პოლკ. მაჩაბელი, 5 პოლკისა პოლკ. ბოლდაშვილი, 6 პოლკისა პოლკოვნიკი სიდამონ-ერისთავი.

**ხოლერა.** ქალაქის საავადმყოფოში მოათავსეს 4 ხოლერიანი და 5 საეჭვო ავადმყოფი. მორჩა ერთი. გარდაიცვალა 8. აგვისტოს 28 ს. სულ იყო 79 ხოლერიანი და 13 საეჭვო ავადმყოფი.

**ოსმალთა ჯარი.** ულუხანლუდან ცნობები მოვიდა, რომ ჯულფა-გებრის გზით ოსმალოებმა დიდძალი ჯარი გაგზავნეს თავრიზში უკანასკნელ კვირის განმავლობაში.

# საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაშ

**ნაძალადევი.** დღეს პარასკევს, აგვისტოს 30, ნაძალადევში, საეკლესიო სკოლის დარბაზში გაიმართება მორიგი პარტიული სარაიონო კრება: მოხსენებას წაიკითხავს ამხ ვახტანგ კოტეტიშვილი შემდეგ თემაზე: **„ჩვენი მესამე კონფერენცია და მისი მიზნები** მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. კრების დასაწყისი საღ 7 საათზე (ახ. დროით)

# ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა და ქართველი ისრაელები

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის კანონ-პროექტით საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეყოლებათ: სომხებს 10 წარმომადგენელი, თათრებს 4, რუსებს 3, ოსებს 2, ებრაელებს 2, ბერძნებს 1, გერმანელებს 1. საზომად აღებულია 20 ათასი მცხოვრები თითო წარმომადგენელზე; ებრაელებს ეყოლებათ ორი წარმომადგენელი, მაშასადამე მცხოვრებთა რიცხვი მათი ყოფილა 40 ათასი.

ამ რევოლიუციის განმავლობაში ბევრი არჩევნები მოხდა ჩვენში: ქალაქის, დამფუძნებელი კრების, ერობის და სხ., რომლებზედაც, თუმცა სხვა და სხვა პარტიები გამოდიოდენ სხვა და სხვა სიით, მაგრამ ყოველთვის რომელიმე ეროვნებას ეკუთვნოდა რამოდენიმე განსაზღვრული სია. ასე მაგალითად დამფუძნებ. კრებაზე ქართველების იყო №№ 1, 5 და 8 (ს.-დ. ს.-ფ. და ნ.-დ.), სომხების 4 და 7 (დაშნაკ. და სომხ ს. თ.), თათრების 9, 11 (მუს და რუს. მაჰ.) და ებრაელების 15 (სიონისტების, „ერთად ერთი ებრაელების ეროვნული სია“, როგორც მოწმობს დღესაც ჩვენს ქუჩებზე დარჩენილი მათი აფიშები).

თითო ამომრჩეველმა, რასაკვირველია მისცა ხმა თავის ხალხის (და თავის ჯიბის) ინტერესების დამცველ სიას. მეტ წილად-კი ქართველებმა მისცეს 1-ს (ს.-დ.), სომხებმა 4 ს (დაშნაკ.), თათრებმა მუსსავათს და ებრაელებმა, ე. ი. ჩვენში მცხოვრებ რუსის ებრაელებმა—აშქენაზებმა სიონისტების №-ს 15-ს. ქართველმა ისრაელებმა კი სრულის ნდობით და შეგნებით ხმა მისცეს ქართველებს 1, 5 და 8, როგორც თავის სიებს. რაც შეეხება სიონისტების 15 ნომრის სიის ერთად ერთ წარმომადგენელს, ვიღაც ბაქოელ გუხმანს,—ეს მათთვის არასფრის მთქმელი გამოდგა და მთელს ქუთაისში სიონისტებმა მიზეს 65 ხმა, ისიც უეჭველია აშქენაზების მხრით, სოფლებში ხომ არც ერთი ხმა მიუღია ჩვენებურებისაგან ამ „ერთად ერთ ებრაელების ეროვნულ სიას“. მაშასადამე 40 ათას მცხოვრებ ქართველ ისრაელთა ამომრჩევლების ხმები დანაწილებულია ჩვენი სოციალ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტების და (ნ.-დ.) სიებს შორის და ცხადზე უცხადესია, ამ პარტიების ეროვნულ საბჭოს წევრები არიან მასთანვე თავიანთი ამომრჩევლების ქართველი ისრაელების წარმომადგენლებიც და ყოველი მათი პოლიტიკური ინტერესების დამცველებიც.

მაშ რისთვის ვაძლევდით ჩვენ მათ ხმებს?

ნუ თუ მართლა შიშის გამო, ან „დარხე შალომისთვის« მშვიდობიანობის დასამყარებლად, როგორც ეს ესიზმრებათ ხოლმე მარტო სიონისტებს!

განა იმისთვის ავლჭურვეთ ჩვენის სრული ნდობით ეს ჩვენი სასიქადულო დეპუტატები და არა უცხოელები (თუმც ჩვენი ერთმორჯულენი), რომ დღეს უარი ეთქვათ ჩვენს წარმომადგენლობაზე და მოეთხოვათ ჩვენგნით ახალი დეპუტატები, შტრეიხერ-ბააზოვის სახით?

ჩვენში ხომ დღემდის არც ქუთაისში, არც ტფილისში არც პროვინციებში არ არსებობს სხვა ეროვნული საბჭოები და პოლიტიკური პარტიები,*) ან ორგანიზაციები გარდა ქართულისა, და არც საიდანა გვყავს გამოსაგზავნი არჩეულ დეპუტატებზე უკეთესი და უფრო სანდო პირები ჩვენი საერთო სამშობლოსა და საერთო პოლიტიკური საჭირბოროტო საქმეების მოსაწესრიგებლად. მაშასადამე ბურთი და მოედანი დარჩათ ტფილისის სათემო კომიტეტს (დღეს-კი ებრაელების ეროვნულ საბჭოს) და ქუთაისის მოწაფე-სიონისტებს. პირველი გამოგზავნის თავის თავმჯდომარეს —„უპარტიო“ მ გრუზენბერგს, ან მის მოადგილეს სიონისტ შტრეიხერს, მეორენი-კი თავის იდეოლოგს რაბინ ბააზოვს; და ამ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა საქართველოს ეროვნულ საბჭოში უნდა გამოხატონ ჩვენი პოლიტიკური სახე და მისწრაფება!..

არ მოველოდით თუ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ასეთ საკითხების გადაჭრის დროს იხელმძღვანელებდა რელიგიური პრინციპებით და არაფერ ანგარიშს გაუწევდა რეალურს, პოლიტიკურს, ისტორიულს და სხვა პირობებს

შეცდომათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ ქართველი ისრაელები საქართველოს თავისუფალ სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში ერთს ტაფაზე ვართ დაყენებული სომხებთან, თათრებთან, რუსებთან და გერმანელებთან.

სომხებს უნდა ჰყავდეთ თავისი ცალკე წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში იმისთვის, რომ მათი დედა ენა არ არის ქართული; თათრებს,—რადგან მათი ზნე-ჩვეულება არ არის ქართული; რუსებს,—რადგან მათი სამშობლო არ არის საქართველო; გერმანელებს,—რადგან მათი ისტორიული წარსული არასფრით არის დაკავშირებული საქართველოს შორეულ თავგადასავალთან: აშქენაზებსაც შეუძლიათ იყოლიონ თავისი წარმომადგენელი,—როგორც უცხო პოლიტიკური მიზნის მატარებელთ, ხოლო ქართველი ისრაელები კი რაღასთვის არიან საერთო ქართულ პოლიტიკურ ცხოვრების გარეშე **განცალკევებულად** წამოყენებული? ეს გაუგებარია ჩვენთვის.

შეიძლება დღეს ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიებმა შეთანხმებულად გადასწყვიტეს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოში ქართველ ისრაელებს არ უნდა ჰყავდეთ საერთო წარმომადგენლები სოციალდემოკრატებთან, სოციალფედერალისტებთან და ნაციონალ-დემოკრატებთან ერთად, არამედ, როგორც სხვა რჯულის ხალხი ცალკე უნდა ჰყავდეთ მათ დეპუტატებიო, მაშინ ასე გაცხარებულად რაღასთვის ეწეოდნენ ისინი აგიტაციას ჩვენში (ქუთაისში და პროვინციებში) რომ ჩვენ მოგვეციით ხმები, ჩვენა ვართ თქვენი ინტერესების დამცველიცაო? ჩვენმა ხალხმაც ხომ დაუჯერა და თავის პოლიტიკური ბედ-იღბალიც ჩააბარა მათ.

დღეს კი შეიძლება ჩვენი პოლიტიკური პარტიები მიერ ამ რიგად საკითხის დაყენებამ და რაბინ ბააზოვის აგიტაციამ ჩვენი ხალხის გადაგვარებული ნაწილი („გათვითცნობიერებული“ სიონისტები) დააჯეროს, რომ ჩვენ საქართველოს პარლამენტში გვყავდეს ჩვენი ისრაელი“ და „არა-ქრისტიანი“ დეპუტატები, რისთვისაც საჭაროა ჩვენთვის სხვა, უცხო პოლიტიკური, ოღონდ კი სარწმუნოებრივ საფუძველზე მოწყობილი. ორგანიზაციების შექმნაო.

მაშინ ისმის კითხვა: რისთვის-ღა ვებრძოდით ძველი რუსეთის თვითმპყრობელობას, ომლის უკუღმართი პოლიტიკის წარმოებით ხდებოდა ესოდენი უსამართლობა სარწმუნოებრივი და ეროვნულ - პოლიტიკური მომენტების ერთმანეთში არევით; მაშინაც ხომ რომელიმე ხალხის ერთს ნაწილს აშორებდნენ და ჰყოფდნენ პოლიტიკურად მისსავე მეორე ნაწილისაგან, მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი რჯულით განსხვავდებიან ურთიერთისაგან: ან ორს, რეალურად და პოლიტიკურ-ისტორიულად სხვა და სხვა პირობებში მცხოვრებ ხალხს ერთს პოლიტიკურ-უფლებრივ ჩარჩოებში აყენებდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი ერთმორჯულენი არიანო,—მაგალითად ქართველი ისრაელები და აშქენაზები.

მაშ რისთვის იბრძოდნენ ასე თავგამოდებით ჩვენი მამები და რამდენიმე ქართველი მოღვაწე ამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში პრესით, „Новое обозрѣнiе“, თუ საქმით,—მრავალი თხოვნები და საქმეები ამის შესახებ ჩვენზე ყოფილ მეფისნაცვლის კანცელარიაში,—რუსულ შემავიწროებელ პოლიტიკას,—თუ დღეს საქართველოს ხალხოსნური მთავრობაც, ჩვენი მთავრობაც უცხო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით დაგვიწყებს ყურეიას ჩვენ, თავის განუშორებელ შვილებს, თუმცა არა „ქრისტიანებს“.

თუ გვსურს ვიხელმძღვანელოთ იმ რუსული შეხედულობით და შეგნებით, ან „პოგრომული“ ტენდენციით, რომლებიც,—რუსული სწავლა-აღზრდის მიღების გამო,—სათანადოთ აქვს დღეს ჩვენში მრავალს შეთვისებული, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენი საკითხიც უნდა გადიქცეს „დაწყევლილ“, საკითხად ჩვენში და, ცხადია, მის ზნეობრივ-სამართლიანად და ქეშმარიტ დემოკრატიულად გადაწყვეტაზე ზედმეტი იქნება საუბარი.

ნუ თუ დღეს აღარა გვსურს წავბაძოთ მამა-პაპათა იმ სამაგალითო ტრადიციებს, რომლებიც გვასწავლიან, რომ ისრაელ და ქრისტიან ქართველებს შორის მრავალი ისტორიული და სხვა საგულისხმო მიზეზების გამო არაფერი განსხვავება არსებობდა გარეშე სარწმუნოებისა,—რომ ისინი ერთნაირი უფლებრივ კანონებ... ყოფილნი, როგორც ერთ წოდების ... წოდებით ...

ჩვენც ამ ტრადიციებზე აღზრდილი ყველა ჩვენს არჩევნებში გამოვედით ერთად და არა განცალკევებულად, და ამისთვის დღეს რომ ჩვენს ეროვნულ საბჭოში დეპუტატები სხედან ჩვენ მიერ არჩეული, ჩვენი დეპუტატებიც არიან ისინი.

და თუ მაინცა და მაინც ყველა ეს დღეს დავიწყებას მიეცა და მხოლოდ ანგარიში გაეწია რუსეთის სასულიერო სასწავლებელში აღზრდილ რაბინ ბაზოვის წადილს აუცილებლად შექმნას ჩვენში „ეროვნული“ საბჭოები, რომლებმაც უნდა გამოგზავნონ საქართველოს პარლამენტში „ისრაელი“ დეპუტატები, ჩვენ მაინც მუდამ თვალწინ გვედგომება ის უტყუარი ფაქტი, რომ ქართველი ისრაელების მასსა არ მიყვება ამ უცხო დეპუტატებს და მათ გარეშე სდგას.

**მიხაკო ხანანაშვილი.**

*) ქუთაისის „ახალგაზდა ებრაელების კლუბი“ არის მხოლოდ ისრაელების უბანში გახსნილი ს.-დ. პარტიისა ქუთაისის კომიტეტის რაიონული კლუბი, სადაც არ მუშაობს არც ერთი აშქენაზი-რუსის ებრაელი. აგრეთვე ქუთაისის ინტერპარტიული საბჭო შესდგება მხოლოდ ქართული პოლიტიკური პარტიების ისრაელ წარმომადგენლებისაგან, და სიონისტებს, როგორც უცხო, არა-ქართულ პოლიტიკის მწარმოებელთ, იქ ადგილი არ აქვთ.

# როგორ უნდა მოეწყოს ჩვენში ხელოვნების საქმე

რომ ხელოვნებას კაცობრიობის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ამიტომ ხელოვნების საკითხი განსაკუთრებით ყურადღების ღირსია.

ამ საკითხის შემუშავება მინდობილი აქვს ეროვნულ საბჭოსთან არსებულ ხელოვნების სექციას: კარგი იქნებოდა, რომ ხელოვნების საკითხის გადაწყვეტას ჰქონოდა მიცემული საზოგადოებრივი ხასიათი, ხელოვნების სექცია კი ძლიერ ცოტა ცნობებს იწოდება თავისი მუშაობის შესახებ. როგორც პრესაში მოთავსებულ კერძო წერილებიდან სჩანს, ხელოვნების სექციას უკვე გადაუწყვეტია რომ ხელოვნებას ჰქონდეს მთავრობაში აღმასრულებელი ორგანო ეხლა კი თათბირია გამართული, როგორი უნდა იყვეს ეს აღმასრულებელი ორგანო: რომელიმე სამინისტროსთან მიკუთვნებული, და მაშასადამე დამორჩილებული ამ სამინისტროს საერთო პოლიტიკასთან თუ განკერძოებული, დამოუკიდებელი უწყება, რომელიც მორჩილი იქნება მხოლოდ პარლამენტისა უმრავლესობა თურმე ემხრობა დამოუკიდებელ უწყების დაარსებას.

ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია ამ სახით ხელოვნების სიკითხის გადაწყვეტა რადგან ეს ხელოვნებას ვერავითარ დახმარებას ვერ გაუწევს, პირიქით, მავნებელიცაა და მთავრობისაგან ზედმეტი ხარჯსაც მოითხოვს. ამბობენ ამგვარი ხელოვნების უწყება შემოქმედებითს საქმეში არ ჩაერევაო. ეს გაუგებრობაა. ხელოვნება შემოქმედობაზე არის დამყარებული, და საქმეც ისე უნდა მოეწყოს, რომ შემოქმედებასაც ხელი უნდა შეეუწყოთ. საჭიროა ხელოვნების საკითხის გადაწყვეტაში ჩვენ ვიხელმძღვანელოთ უკვე ისტორიაში არსებულ მაგალითებით და ვეცადოთ არ დაუშვათ შეცდომები. საუკეთესო მაგალითად უნდა ჩაითვალოს საფრანგეთის ხელოვნების მოწესრიგების ისტორია; ჩვენ დროში საფრანგეთის ხელოვნებას პირველი ადგილი უჭირავს და დიდად გაბედულ ნაბიჯებს დგამდა საფრანგეთი ამ საქმეში. თითქმის ორ ნახევარ საუკუნის განმავლობაში საფრანგეთში არსებობდა სხვა და სხვა სახის ხელოვნების უწყებები, ხან მთავრობასთან დაკავშირებული, ხან კი განკერძოებული, მაგრამ ამ უწყებებს საფრანგეთის ხელოვნებისათვის თითქმის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია ნამდვილი ხელოვნება ვითარდებოდა სრულიად ამ უწყებების და დამოუკიდებლად.

წინად, როდესაც ეკლესიას დიდი გავლენა ჰქონდა ცხოვრებაზე, ხელოვნების „მფარველი“ იყო ეკლესია, რადგან სარწმუნოებას ხელოვნება უწევდა დიდ სამსახურს. შემდეგ მეფეების დროს თვით მეფე იყო ხელოვნების მფარველი იმდენად, რამდენადაც ხელოვნება შეეფერებოდა მის ბრწყინვალე მეფობას, მის სასახლის მორთვას, მის ამაყობას და მხატვრულ გემოვნებას. შემდეგში კი, როდესაც იწყება სახელმწიფოს შენება დემოკრატიულ ნიადაგზე, ცენტრალისტურ-ბიუროკრატიულ წესწყობილებით მთავრობა სცდილობს დაარსოს ხელოვნების უწყება, რადგან იგი გრძნობს რომ ხელოვნება დიდი კულტურული ძალაა. პირველი ხელოვნების უწყების დაარსება საფრანგეთში მოხდა 1664 წ. კოლბერის მიერ. ეს უწყება დამფუძნებელ კრების მიერ გაუქმებული იქნა 1791 წ. ივნი-

სის 15-ს. 1792 წლიდან დაწყებული ვიდრე 1804 წლამდე ხელოვნების საქმეს განაგებს ხან „comité de l'insttruction publigue“, ხან „ministrée de l'intérieur“. 1804 წლიდან დაწყებული ვიდრე 1870 წლამდე, ხელოვნების ერთეული მართველობა ირღვევა, და მართველობა გადადის სხვა და სხვა სამინისტროს ხელში, სადაც ხელოვნებას აქვს თავისი განყოფილება, მესამე რესპუბლიკის დროს ხელოვნების უწყება მოთავსებულია მხოლოდ განათლების სამინისტროში, ცალკე დეპარტამენტის სახით. მერმე სულ ცოტა ხნით (1881 წ. ნოემბრის 14-დგან ვიდრე 1882 წ. იანვრის 30-დე) არსდება დამოუკიდებელი უწყება „ministère be des blanx-arts“. ამის შემდეგ კი ხელოვნების საქმე სავსებით გადადის განათლების სამინისტროს ხელში, და დღესაც ამ სამინისტროს ხელშია. ამ რიგად ეხლაც საფრანგეთში დამოუკიდებელი ხელოვნების უწყება არ არსებობს, არის მხოლოდ განათლების სამინისტროში „ხელოვნების დეპარტამენტი“, რომელიც განაგებს ხელოვნების საქმეს მთელ რესპუბლიკაში.

როგორც ამ მოკლე ისტორიიდან სჩანს ხელოვნების უწყების დაარსება დიდ რყევას განიცდიდა. უკანასკნელ ხანებში კი ხელოვნების უწყებამ მონახა თავისი ადგილი განათლების სამინისტროში, და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. სახელმწიფოს საერთო არაფერი აქვს ხელოვნების უმაღლეს მიზნებთან. მხოლოდ ერთი რამ აკავშირებს სახელმწიფოს ხელოვნებასთან—სახელდობრ ხალხის განათლება. ამ საქმეში ხელოვნებას შეუძლია დიდი დახმარება აღმოუჩინოს სახელმწიფოს (თუმცა რასაკვირველია, ხელოვნების თვით მიზანს ეს არ შეადგენს), ამავე დროს თვით ხელოვნებას ესაჭიროება განათლება, რადგან ხელოვნებაც ხომ მეცნიერებაა. ამ მიზეზის გამო ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ხელოვნების უწყების დაკავშირება განათლების სამინისტროსთან. ეს დაკავშირება უნდა მოხდეს მხოლოდ შემდეგ დარგებში: მუზეუმის დაარსებაში, ხელოვნების ნაშთების მოვლაში, თეატრის საქმეში, როგორც ხალხის კულტურის საჭიროებისათვის, მხატვრული ცოდნის გავრცელებაში და სხვა. საუბედუროდ თანამედროვე სახელმწიფო არ კმაყოფილდება ამით და სხვა დარგში ჩარევა დაიწყო. შენობების და ძეგლების აღმაშენებელ საქმეში, ხელოვნების ნაშთების რესტავრაციაში ამ მიზეზმა დიდი ვნება მოუტანა ხელოვნების საქმეს: რამდენი ხელოვნების ნაშთი დაიკარგა უმსგავსო რესტავრაციის მიზეზით, რამდენი უმსგავსო ძეგლი და შენობა აგებულა მთავრობის თაოსნობით.

ეხლა დაუბრუნდეთ საფრანგეთს და ვნახოთ, რა რიგად არის მოწყობილი „ხელოვნების დეპარტამენტი“ საერთო მოწყობილება მეტად რთულ ბიუროკრატიულ ნიადაგზეა. მართველობის სათავეში დგას დირექტორი „directeur des beaux-arts“, რომელსაც ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი განათლების მინისტრის წინადადებით. მართველობა, შესდგება ოთხი ბიუროდან: პირველი განაგებს მხატვრული მუშაობის საქმეს, გამოფენებს, მეორე—განაგებს მხატვრობის სწავლა-განათლების საქმეს, მუზეუმებს, მესამე—განაგებს საისტორიო ნაშთების მოვლის საქმეს და მეოთხე—თეატრს. ყოველ ბიუროს განაგებს ინსპექტორი (inspecteur des blanX-arts) ამას გარდა არსებობს სხვა და სხვა კომისია, რომლებიც განაგებენ მუზეუმის საქმეს, აწყობენ გამოფენებს, იძენენ ხელოვნების ნაწარმოებს სახელმწიფოსათვის და სხვა. იმდენი სხვა და სხვა კომისია და ბიურო არსებობს, და იმდენად რთულად არის მოწყობილი ეს დეპარტამენტი, რომ მისი დაწვრილებით აღწერა შორს წაგვიყვანდა. ხელოვნების სწავლა-განათლების საქმეს მთავრობამ ერთგვარად მოჰკიდა ხელი. სამხატვრო აკადემია დაარსა მეჩვიდმეტე საუკუნეში პროვინციებში გახსნილია სხვა და სხვა სამხატვრო სკოლა, არსებობს კომისიები რომლებიც იმუშავებენ მხატვრობის სწავლის გეგმას.

როგორც ამ მოკლე აღწერიდან სჩანს მთავრობა მეტად გულმოდგინებით ეკიდებოდა ხელოვნების საქმეს. უნდა აღვნიშნო რომ საფრანგეთის ყოველ სხვა ქვეყნებთან შედარებით, ბუნებით დიდად დაჯილდოვებულია მხატვრული ნიჭით. ეხლა ვნახოთ როგორ იმოქმედა მთავრობის ერთგულობამ ხელოვნებასადმი, თვით მხატვრულ შემოქმედებაზე. მთელი კაცობრიობა აღტაცებულია თანამედროვე საფრანგეთის ხელოვნებით, და უნდა ითქვას, ეს შეიქნა მთავრობის მზრუნველობის გარეშე. თუმცა მთავრობა დიდად ზრუნავდა ხელოვნებაზე, აარსებდა ხელოვნების სხვა და სხვა დარგის უწყებებს, მაგრამ არც ერთ ხელოვნების დარგში—მხატვრობაში, ქანდაკებაში, ხუროთმოძღვრებაში—ამ უწყებების წყალობით არ შექმნილა მნიშვნელოვანი რამე. არც ერთი საფრანგეთის დიდებული და გამოჩენილი ხელოვანი მხატვარი არ აღზრდილა ხელოვნების უწყებების საშუალებით. დელაკრუა, კორო, კურბე, მანე, რენუარ, დეგა, სეზან, როდენ, გოგენ და სხვა—არც ერთს აღნიშნულ დიდებულ ხელოვანს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს „ხელოვნების დეპარტამენტთან“ ოფიციალურ მხატვრულ სასწავლებელში და აკადემიაში სწავლით კი ვინ იცის რამდენი ნიჭი დაღუპულა. ხელოვნების არც ერთ სხვა დარგში მთავრობის უწყებას, ხელოვნების დეპარტამენტს“ არ მოუტანია სარგებლობა. უწყების მიერ აგებული შენობები ან ძეგლები არავითარ მნიშვნელობას არ წარმოადგენენ. ისევ კერძო თაოსნობით აგებული შენობები წარმოადგენენ ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებს. მუზეუმის მხრივაც მთავრობის უწყება ვერ იჩენდა უნარს. რომ კერძო შემოწირულება არ ყოფილიყო, საფრანგეთის მუზეუმებში არ იქნებოდა მოთავსებული ნაწარმოები საუკეთესო თანამედროვე ხელოვნებისა.

ეხლა ჩვენ რომ გავიხსენოთ სხვა სახელმწიფოები, სადაც კი არსებობს ოფიციალური ხელოვნების მფარველი ორგანო—გერმანია, ინგლისი, რუსეთი და სხვა—ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ორგანოები ძლიერ ცუდ სამსახურს უწევენ ხელოვნებას. ნამდვილი ხელოვნება ყველა სახელმწიფოში ოფიციალური უწყებების გარეშე იქმნებოდა. უნდა განვმარტოთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სრულებით უარვყოთ ხელოვნების უწყების მნიშვნელობა, რადგან სწავლა-განათლების მხრივ ამ უწყებებს ზოგი სარგებლობაც მოაქვს.

ყველა ზემო მოყვანილ მიმოხილვიდან ნათლად სჩანს, რომ ოფიციალური ხელოვნების უწყება ხელოვნების წარმატებისათვის ზედმეტია. ხელოვნებას არ სჭირია გამზრდელი. ის თავისუფლად იზრდება და ცხოვრობს, ხელოვნების ოფიციალური უწყებები და აკადემია შემოღებულია მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნეში იტალიის რენესანსის დროს ხელოვნება ვითარდებოდა კერძო სახელოსნოებში. ყველა ხელოვანი თვითონ იყო ხელოვნების საუკეთესო დარაჯი, და ეხლაც, თუმცა მთავრობა ჩარეულია ხელოვნების საქმეში, მაინც ხელოვნება ვითარდება თავისუფლად, კერძო ხელოვანთა სახელოსნოში. აკადემია, როგორც უნდა იყოს იგი,—მხატვრული, მუსიკალური თუ თეატრალური—ყოვლად გამოუსადეგარია. ნამდვილი ხელოვნება მაინც მათ გარეშე იქმნება.

ჩვენ ეხლა განსაკუთრებულ პირობებში ვცხოვრობთ. ჩვენში ხელოვნების საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ყველა პირობები მას ხელს უწყობდეს. უნდა წავბაძოთ მხოლოდ კარგ მაგალითებს და შეცდომები არ ჩავიდინოთ, რადგან ჩვენ სახელმწიფოებრიობას საფუძველი ეხლა ედგმება, საჭიროა გაბედული ნაბიჯების გადადგმა.

ჩვენმა მთავრობამ, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივი აქტით უნდა გამოაცხადოს ხელოვნების თავისუფლება. ხელოვნების დარგის ყოველ საზოგადოებას—მხატვრულ, დრამატიულ, მუსიკალურს და სხვა—უნდა ჰქონდეს მინიჭებული სრული კანონიერი თავისუფლება თავის მოქმედებაში.

კერძო ინიციატივა ხელოვნების საქმეში უნდა იქნეს განმტკიცებული. ამ რიგად, ხელოვნების საქმეში არავის არ ექნება მიცემული უპირატესობა, მხატვრული აკადემია და კონსერვატორია უარყოფილი უნდა იქნეს, რადგან ხელოვანის ხარისხს ადამიანს მოწმობა კი არ აძლევს. კერძო პირის ან საზოგადოების მიერ მოწყობილ სახელოსნოში მსურველს ექნება საშუალება გაეცნოს და ისწავლოს ხელოვნება. როგორც ნათქვამი მქონდა სახელმწიფოს კავშირი აქვს ხელოვნებასთან იმდენად, რამდენად ხელოვნება სწავლა განათლებას ემსახურება. ამ მხრივ ჩვენმა მთავრობამ უნდა გაუწიოს ანგარიში. ერთის მხრივ მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ მხატვრობაში ცოდნა და განვითარება ყოველ მოქალაქისათვის საჭიროა, მეორეს მხრით მთავრობამ უნდა გაუწიოს ანგარიში იმასაც, რომ ხელოვნებას თვითონ განათლება სჭირდება, რომ ხელოვნება მეცნიერებაა. ამ საქმის მოსაწესრიგებლად ყველაზე ხელსაყრელია მთავრობასთან არსებული განათლების სამინისტრო. ცალკე უწყების ამისთვის დაარსება ყოვლად უსაფუძვლოა და ზედმეტ ბარგად დააწვება მთავრობას. განათლების სამინისტროში შეიძლება ხელოვნების საქმისათვის ცალკე განყოფილების მოწყობა, ამ განყოფილებამ უნდა შეუწყოს ხელი სამხატვრო განათლებას, ყველა სასწავლებლებში შეძლებას და გვარად უნდა შემოღებულ იქნას პირველ დაწყებითი ხელოვნების სწავლა როგორც პრაქტიკული, ისე ისტორიული, მხრივ, უნდა დაარსდეს დაწესებულება, სადაც ხელოვნება მეცნიერული მხრივ უნდა ისწავლებოდეს უნდა განაგებდეს დ დახმარებას უწევდეს მუზეუმებს და თეატრს როგორც სახელმწიფო დაწესებულებათ, უნდა აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება ყველა სახის ხელოვანთა საზოგადოებას, ჯგუფს ან წრეს, ან კერძო პირს.

თუ ჩვენ ხელოვნების საქმე ამ რიგად მოვაწყვეთ, ხელოვნება სრული თავისუფალი იქნება თავის ცხოვრებაში, და კარგს ნაყოფსაც მოიტანს და მთავრობაც ამ საქმეს იმდენად ხელს შეუწყობს რამდენად ეს მის ინტერესებს ეთანხმება. ჩვენი ქვეყანა არც ისე დიდია, რომ ამ რიგად ხელოვნების საქმის მოწესრიგება გაჭირდეს. როგორც ერს თავისი ცხოვრებისათვის და არსებობისათვის თავისუფლება სჭირდება, ისე ხელოვნებას შეუძლია მხოლოდ თავისუფალი არსებობა.

დავით კაკაბაძე.

# ტფილისის საგანგებო მფრინავი რაზმის გამო

(პასუხი)

კვირას, აგვისტოს 25 „სახალხო საქმეში“ მოთავსებული იყო წერილი ტფილისის საგანგებო მფრინავი რაზმის შესახებ, სადაც მეც ვიყავ მოხსენებული. უნდა გამოვტყდე, ამ ჟამათ დრო და გარემოება ნებას არ მაძლევს პოლემიკა ვმართო სხვა და სხვა პირებთან, რომელთაც კინკლაობა უფრო აინტერესებთ, ვინემ სამშობლოს სიყვარული, მაგრამ მიუხედავათ ამისა ვალდებულათ ვრაცხ თავს მაუთითო საზოგადოებას ჩემს წინააღმდეგ მიმართულ დაუმსახურებელ, ბრალდებებზე. ავტორი ზემოაღნიშნული წერილისა, მოგვითხრობს რა ყოფილ მფრინავი რაზმის ისტორიას, ახლად დაარსებულ საგუბერნიო ბათალიონსაც არ ივიწყებს და ამბობს: „რაზმს სახელი გამოუცვალეს, მაგრამ შინაარსი კი ისევ ის დარჩა, რაც წინად იყო. რაზმში თავი მოიყარა უცხო ეროვნების ხალხმა, განსაკუთრებით ოფიცრობამ და ჩინოვნიკობამ, რომლებსაც რაზმის სოჯახო საქმე აბარიათ და რომელთათვის მხოლოდ და მხოლოდ კუჭი არსებობს და არა საქმე.

„საჭიროა იქაც მოხდეს ნაციონალზაცია და არა ქართველების დათხოვნა, როგორც ეს ახალმა რაზმის უფროსმა ჩაიდინა გუბერნიის კომისარის განკარგულების ძალით და სხვა“ ამ ამონაწერში რამდენი სიტყვაა, იმდენივე სიცრუეა, ის რაზმი ოფიციალური განკარგულების ძალით დაიშალა, შემადგენლობა კი დათხოვნილ იქმნა. მაშასადამე, არც სახელის გამოცვლას, არც კერძოდ ვისმეს დათხოვნას ჩემს მიერ ადგილი არა ჰქონია, მიღება კი ბატალიონში სწარმოებს გუბერნიის კომისარის ბრძანებით, რომელიც საქმის ცოდნას და ბეჯითობას მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე ეროვნებას. ესეც არ იყოს, ავტორის მიერ ათვალწუნებულმა „ინოროდცებმა“ იციან ქართული ენა, ითვლებიან საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომებად, არიან მკვიდრნი მოქალაქენი ჩვენი სამშობლოისა და არც ერთ მათგანს სხვაზე ნაკლებად არ შესტკივა გული ჩვენი ქვეყნის ბედსა თუ უბედობაზე.

ჩემდამი რწმუნებულ ბათალიონს კი, არავითარი კავშირი, არავითარი დამოკიდებულება არც პოლკოვნიკ ხარაძესთან, არც მის რაზმთან არა აქვს, გარდა იმისა რომ ვიბარებ იქ დარჩენილს ქონებას. დასასრულ კომისიის წევრი ამბობს: „მაგ ბათალიონსაც იგივე ბედი ეწევათ“ ჰგონია საქმეს აკეთებს ერთგულებას იჩენს, მაგრამ სცდებით ბატონო! ამ გვარი ბათალიონების, თუ ჯარის ერთეულების შედგენა პირველი არ არის ჩემთვის ის საზოგადოება, თუ წრეები, სადაც ბედნიერება მქონდა მემუშავნა, აგრეთვე მთავრობის უმაღლესნი წარმომადგენელნი რომელნიც მთელი საქართველოს დემოკრატიის ნების აღმსრულებელნი არიან, გვარიან დ მიცნობენ და მერწმუნეთ თქვენზე ნაკლებად არ იციან, ვინ ჩააყენონ ამა თუ იმ დაწესებულების სათავეში. ხოლო თუ ვინმე გაკადნიერდება და მათ ნდობას ბოროტად გამოიყენებს, მთავრობა შესძლებს ღირსეულად დასაჯოს დამნაშავენი.

საგუბერნიო ბათალიონის უფროსი
კაპიტანი შამშურინი.

# ღია წერილი

ქართ. საქველმოქმ. საზ-ბის მთავარ გამგეობას.

ბათომის განყოფილების გაუგებრობაზე აგებული დადგენილების შესახებ ვრცელი განმარტება გამოგიგზავნეთ ივლისის 29 (ფოსტ. კვ. № 809) სურამიდან, რადგან გაგებული მქონდა, რომ ჩემი დაკმაყოფილება შესაძლებლად იყო აღიარებული საქვ. საზ—ბის „კულუარებში“ და ამაზე საგანგებო მსჯელობა უნდა ჰქონოდა მთავარ გამგეობას. მაგრამ როგორც ეხლა გავიგე, თქვენ აჭარა-ქობულეთის მასწავლებელნი დაგიკმაყოფილებიათ და მე კი, ერთი მათგანი, კვლავ გამოგპარვივართ ყურადღებიდან და ენუქას ანდერძივათ ჩემი საქმე სამერმისოდ გადაგიდვიათ. რად? განა სახალხო მასწავლებლის მდგომარეობა უცხოა თქვენთვის, რომ შვიდ-რვა თვე გაუგებრობის და გამოურკვევლობის მქლე საკვებითა ჰკვებოთ თქვენი მასწავლებელი და „ზავტრა, ზავტრა“-თი უმასპინძლდებოდეთ?

ერთხელ კიდევ მოგმართავთ თხოვნით—განიხილოთ ჩემი განმარტება, ივლისის 29 გამოგზავნილი და დადებითი იქნება თქვენი დანასკვი თუ უარყოფითი, მაცნობოთ. მაშინ იქნება თავი აღარ მოგაბეზროთ.

ყოროლისთავის ქართულ სკოლის ყოფილი გამგე-მასწავლებელი ელენე ციცქიშვილი გძელიშვილი.

გამომცემელი
სამხონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

**ექიმი** ლ. ა. სალარიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭილის აუდიტორიის ახლო. 1290

**ექიმი** პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

**ექიმი** ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

**ექიმი** კ. ტუჩელაშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო ორგ. სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეზაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ქუთაისში

**ექიმი** გ. ძორძაშვილი დაბრუნდა და განაახლა თვალის ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს., საღამოთი 5—6 ს. ძველი ტფილისის და ოლდენბურგის ქუჩების კუთხე. 851

**ექიმი** ე. ლ. შალამბერიძე იღებს სანებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

**ექიმი** ი. დ. ჯაფარიძე. შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს საღამოს 5—7 ს მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17 49. 1003

**ექიმი** კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1319

**ექიმი** დ. მ. ჯავახიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფ. 14—09. 1032

**ექიმი** დ. შარაშანიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი [illegible] მყოფთ დილის 12—2 [illegible] რლანოვის ქ. № 6.

**ექიმი** [illegible] განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეზაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფებისა. დილით 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპ. № 8. 450

**ექიმი** ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საზებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

**ექიმი** ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით/ დილას 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 14—74. 6087

**ქუთაისში** მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან. ქირურგიული და ქალთა სნეულებების სავადმყოფო სამშობიარო განყოფილებით. დასაწოლ ავადმყოფს იღებენ ყოველ დროს. 848

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კანის და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11.

**ექიმი** ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—80 1270

**კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.**

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 247

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა**

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.)

ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. გ. აგასაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტისიანი—9 11 საკუთრივ ბავშვთა ავადმ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი 1—2 ს. შინაგანი.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 2 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1019

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„სახალხო საქმე“**

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.